# ხელშეკრულება № 24

თბილისი 10 აგვისტო 2016 წ.

ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო (შემდგომში „შემსყიდველი",) წარმოდგენილი არქივის **სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით თუნგიასსა**ხით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. **"ივერსი"( ს/კ:205077593, მის:ქ.თბილისი, ზელიაშვილის ქ. № 8), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლევან დემეტრაშვილის სახით** (შემდგომში „**მიმწოდებელი**"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

## §1 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია **CPV** 30200000 კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები, კერძოდ **CPV30237000 „კომპიუტერესების ნაწილები , აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები**''- 32,21 (ოცდათერთმეტი ლარი და 21 თეთრი) ლარის. **CPV50300000 „პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები", კერძოდ CPV50320000** „პერსონალური კომპიუტერესბის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება"- 10 ( ათი ლარი ) (გამარტივებული შესყიდვა, კანონი"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ").

## §2 ხელშეკრულების ღირებულება

**2.1. საქონლის ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.**

**2.2. მომსახურების** საერთო ღირებულება შეადგენს 41 (მორმოცდაერთი ლარი და 21 თეთრი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების გათვალისწინებით.

## §3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან **20 სამუშაო** დღის განმავლობაში.

## §4 მიღება - ჩაბარების წესი

4.1.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ბუღალტერი თამარ ინალიშვილი.**

4.2. **საქონელი** მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## §5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. **მომსახურების** მიწოდების ადგილია : ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1.

5.2. **მომსახურების** მიწოდება განხორციელდება **2016 წლის 20 კალენდარული დღის განმავლობაში.**

## §6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **მომსახურების** მიწოდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე პასუხისმგებელია **მომსახურების** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

## §7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

შემსყიდველი------------------------ მიმწოდებელი ------------------------

### §8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### §9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემ,თხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

### §10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### §11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 30 სექტემბრის** ჩათვლით.

### 12 მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი : |
| --- | --- |
| აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო.<br>**მისამართი**: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1<br>**საიდენტიფიკაციო კოდი**: 205323229<br>**ბანკი**: სხელმწიფო ხაზინა<br>ა/ა : ხაზინის ერთიანი ანგარიში<br>**ბანკის კოდი** : TRESGE22 | შ.პ.ს. "ივერსი"<br>**მისამართი**: თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8<br>**საიდენტიფიკაციო კოდი**: 205077593<br>**ბანკის კოდი** : BAGAGE22.<br>**ბანკის დასახელება** : „საქართველოს ბანკი"<br>ა/ა : GE22BG0000000116539900 |

შემსყიდველი-----------------------------

მიმწოდებელი -----------------------------

2016 წლის "10" აგვისტოს №24 ხელშეკრულების დანართი #1

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სავარაუდო ღირებულება | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კვების ბლოკი | 1 | **31,21** | 31,21 | 30237000 |
| 2 | კომპიუტერის შეკეთება | 1 | **10** | 10 | 50320000 |
| 3 | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| სულ | | | | 41,21 | |

შემსყიდველი-----------------------------

მიმწოდებელი-----------------------------